# პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

**PGG III: ეკონომიკური დანაშაულის პრევენციის და წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში**




**განხორციელების ვადა:** 01.03.2023 - 28.02.2026

**EaP ქვეყნები:**
აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

**ევროკავშირის წვლილი:** € 592 615

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 762 500

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
Council of Europe

**სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:**
facebook.com/partnershipgovernance,
https://twitter.com/CoE_EU_PGG

**პროექტის ვებსაიტები:** partnership-governance-eu.coe.int/

**პროექტის აღწერა:**

რეგიონული პროექტი მიზნად ისახავს დაუპირისპირდეს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის ზოგად გამოწვევებს და ამასთანავე აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში გააძლიეროს რეგიონული თანამშრომლობა კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.
განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკას. პროექტი ხელმისაწვდომს ხდის პლატფორმას ევროკავშირის დონეზე შემუშავებული სტანდარტების თანმიმდევრული და ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობისათვის, ისევე როგორც კარგ პრაქტიკას, სახელმძღვანელოებსა და დამხმარე დოკუმენტებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ქვეყნების ხელისუფლების ორგანოების მიერ განსაზღვრული ღონისძიებების ეფექტიანი გამოყენების მიზნით (AML/CFT პრევენციისა და მიზანმიმართული სანქციების კუთხით), განსაკუთრებით კერძო სექტორებთან ურთიერთობისას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

პროექტის ფარგლებში მოსალოდნელია შემდეგი შედეგების მიღწევა:

1. კორუფციის რისკების შეფასების და მართვის სტრატეგიული მიდგომის შემუშავება.
2. ანტიკორუფციული პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობების გაძლიერება კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან პარტნიორობით.
3. სამართალდამცავი და სასამართლო ხელისუფლების რეაგირების გაძლიერება კორუფციასთან დაკავშირებულ დანაშაულებებზე.
4. ფულის გათეთრების ტერორიზმის დაფინანსების და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლება და მართვის გაუმჯობესება.
5. საკანონმდებლო ბაზისა და თანამშრომლობის გაძლიერება აქტივების მოკვლევისა და დანაშაულებრივი შემოსავლის კონფისკაციის კუთხით.